„თაობა, რომელიც თავის სიტყვას იტყვის და საკუთარ ხმას მსოფლიოს გააგონებს“

თემურ მარშანიშვილი

რაც 30 მაისს ოზურგეთში, მუსიკალურ შადრევანთან საღამოს საათებში ვიხილე, იმას სახელი ვერ გამოვუძებნე და საბოლოოდ დავასკვენი, რომ ეს იყო სასწაული! სასწაული, რომელიც ქალაქის №2 საჯარო სკოლის XII [1] კლასის მოსწავლეებმა მოახდინეს გამოსაშვებ საზეიმო საღამოზე. მემატიანეობას ვერ ავიჩემებთ, მაგრამ ჩვენი აზრით, ღონისძიება, უფრო სწორად, წარმოდგენა „ჩვენ ვართ მეორეს, XII [1]“, რომლის რეზონანსული ექო სასიამოვნო ინტონაციებად დღესაც იღვრება ქალაქში, ჩვენი აზრით. აუცილებლად დაიკავებს ღირსეულ ადგილს ოზურგეთის განათლებისა და კულტურის ისტორიაში“.

მაინც რაო, რა მოხდაო? – იკითხავს ვინმე, ვინც ეს საღამო ვერ ნახა. არსებობს ასეთი გამოთქმა „ნანახმა ყოველგარ მოლოდინს გადააჭარბა“. ხდება ისეთი რაღაცაც, რომლის ასასახავად მხოლოდ სიტყვები უძლურია და რა კარგია, რომ ამ დროს არსებობს ის, რასაც ფოტოგრაფია და ტელევიზია ჰქვია. ამიტომ, მადლობა, რომ ახლა ამ წერილს კითხულობთ, მაგრამ სრული წარმოდგენა რომ გქონდეთ ამ საღამოზე, აუცილებლად უნდა ნახოთ ფოტორეპორტაჟები და სატელევიზიო გადაცემაც.

გვ-5

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 22 (10216), 5 ივნისი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

მირანდა ვანიძის მარიონეტების თეატრი

ყველა ბავშვს ულოცავს ბავშვთა დაცვის დღეს!

ოზურგეთის საკრებულოსა და ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის ავთანდილ მექვაბიშვილის მხარდაჭერით, მირანდა ვანიძის მარიონეტების თეატრმა სოფ. შემოქმედსა და დაბა ნარუჯაში წარმოადგინა სპექტაკლი „მუჭანახევარა“. ხოლო ბაღებს საჩუქრად გადაეცათ თოჯინები და სასცენო დეკორაცია. სპექტაკლის სამხატვრო ხელმძღვანელი მარიამ სანადირაძე. მონაწილე, მოხალისე ბავშვები: მერი თალაკვაძე, გიორგი ტაკიძე, საბა მუმლაძე, ნიკოლოზ გოგოტიშვილი, ხატია გოგელია, ნოდარ ვანიძე.

ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის 6 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურად ხორციელდება.

კერძოდ სოფელ მერიის ხიდიდან მდინარე „ჭახვათას“ ხიდამდე მიმდინარეობს პრობლემური მონაკვეთის მოასფალტება.

გზის სამშენებლო სამუშაოებს გასულ პარასკევს გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელთან ბაქარ ბაბუხადიასთან ერთად გაეცნო.

პროექტი, რომლის ღირებულება 4 მილიონ 100 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. სამუშაოები მიმდინარე წლის ივლისის თვეში დასრულდება.

ჩაის რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო

ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ შემუშავდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც მჩაიეობის დარგში დასაქმებულ ფერმერებს გაეცნო. მიმდინარე წელს, ივარით გაცემულ ჩაის პლანტაციებში ჩაის რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო,-ამის შესახებ ინფორმაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ავრცელებს.

შექმნილია 4 კოოპერატივი, რომლებსაც კონსულტაციებს სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის სპეციალისტები უწევენ. ოზურგეთში სულ 200 ჰექტრამდემდე ჩაის პლანტაციებს ჩაუტარდა ნახევარმძიმე და მძიმე გასხვლა.

გაუტარდა აგროტექნიკური ღონისძიებები, შემოიღობა და გაიწმინდა ჩაის ფართობები. ფართობების დამუშავების პროცესში გამოყენება მობილური მექანიზაცია და სხვადასხვა სახის ტექნიკა.

2017 წლის გაზაფხულზე ჩაის რეაბილიტაციის პროგრამაში 100 ჰა.-ზე მეტი ჩაის პლანტაციით, დამატებით, 3 კომპანია ჩაერთო. „ენპარდის“ პროექტით მიმდინარეობს 23 ჰა. ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია.

ორი პროექტი „ნაგომარი ჩაი“ და „ორი ნანა“ 153 000 ლარით დაფინანსდა. გასულ წელს 150 ჰა.-ზე მეტი ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია განხორციელდა. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ჩამოყალიბების დღიდან ჩაის ფართობების აღდგენა-რეაბილიტაცია პრიორიტეტად დაისახა.

დღეის მდგომარეობით, ექსპლოატაციაშია 400 ჰა.- ზე მეტი ჩაის პლანტაცია, რომელზეც 1000 ტონამდე ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი იკრიფება. 2-3 წელიწადში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეაბილიტაციის შედეგად შესაძლებელია დამატებით კიდევ 400-450 ჰექტარი ჩაის პლანტაციის აღდგენა.

ყოველივე ეს, მნიშვნელოვან შემოსავლებს მისცემს მჩაიეობის დარში დასაქმებულ ფერმერებს და გაზრდის მათ შემოსავლებს,“ - განმარტავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, გიორგი ხარაბაძე.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სამხატვრო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ფილმ „ექვთიმე თაყაიშვილის“ გადამღებ ჯგუფს დაეხმარებიან

ალიონი. ოზურგეთის სამხატვრო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ფილმ „ექვთიმე თაყაიშვილის“ გადამღებ ჯგუფს დაეხმარებიან

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში (დირექტორი **კახა ვასაძე**), მოსწავლეთა წლის შემაჯამებელი გამოფენა მოეწყო.

სამხატვრო სკოლის გამოცდილი პედაგოგების: ვახტანგ მამეიშვილის, ავთანდილ თავართქილაძის, რევაზ ჯაშის, თამაზ დარჩიას, მირანდა ვანიძის, ნატო ყალიჩავას, ნინო კეჭაყმაძის 80-მდე მოსწავლის 300-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული, ხალხური რეწვის ნიმუშები იყო წარმოდგენილი.

სკოლის დირექტორმა და პედაგოგებმა თავიანთ გამოსვლებში ისაუბრეს წარმატებული მოსწავლეების ნამუშევრებზე და შემდეგ გეგმებზე.

ამ დღეს სამხატვრო სკოლას სოფელ ლიხაურის განვითარების ფონდის წარმომადგენლები ნინო ხმელიძე და ნინო ჯაფარიძე ესწრებოდნენ, რომლებმაც მოსწავლეებს მათი სტუმრობის მიზეზი გააცნეს; უნდათ ფინანსურად დაეხმარონ დოკუმენტურ ფილმ „ექვთიმე თაყაიშვილის“ გადამღებ ჯგუფს, რისთვისაც სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს მათი ნამუშევრების უფასოდ გადაცემა სთხოვეს. აღნიშნულ ნამუშევრებს ისინი უახლოეს ხანში აუქციონზე გაიტანენ. შემოსულ თანხას კი გადამღებ ჯგუფს ჩაურიცხავენ. აღნიშნულზე მათ თანხმობა მიიღეს როგორც პედაგოგებიდან, ისე მოსწავლეებიდან.

აუქციონი უახლოეს ხანში გაიმართება.

კულტურისა და დასვენების პარკის სამკითხველო ახალი წიგნებით შეივსო

30 მაისს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, კულტურული პროგრამების ორგანიზატორმა გულიკო გორდელაძემ და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ხელმძღვანელმა მარინა თოფურიამ ჩვენი სამკითხველო მოინახულეს და ახალი წიგნებით შეავსეს.

მელექედურში ორსართულიანი სახლი დაიწვა

ალიონი. ხანძრის შედეგად სოფელ მელექედურში ორსართულიანი სახლი დაიწვა. გიზო ღლონტის ექვსულიანი ოჯახი ხანძრის დროს სახლში არ იმყოფებოდა. როგორც დაზარალებულები ამბობენ, ცეცხლი, სავარაუდოდ, ელექტროგაყვანილობას გაუჩნდა. საბედნეროდ, მსხვერპლი არ არის. დამწვარია საცხოვრებელი სახლის ორივე სართული, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. ხანძარი მეზობლებმა მაშინ შეამჩნიეს, როცა ცეცხლი ორივე სართულს მოედო. შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამაშველო სამსახური გამოძახებიდან დროულად მივიდა. მიუხედავად ამისა, სახლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, გამგებლის მოადგილე, ბადრი გობრონიძე და გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, გოჩა აბაშმაძე.

გამგებელმა დაზარალებულებს დახმარება აღუთქვა. ღლონტების ოჯახი დროებით, ახალ საცხოვრებელ სახლში გადავა, რომლის ქირასაც მუნიციპალიტეტი გადაიხდის. გაეწევათ ფულადი დახმარებაც. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგეობა დაზარალებულებს სამშენებლო მასალებითაც დაეხმარება.

ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამების კურსდამთავრებულებს სერთიფიკატები გადასცეს

21 მაისს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში `**junior eCivment** საქართველომ“ (აღმასრულებელი დირექტორი **ეკა გეგეშიძე**) და გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის მხარდაჭერით, ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამების („ჩვენი საზოგადოება“ და „ფულზე მეტი“) კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში სერთიფიკატები გადასცეს.

პროგრამაში ჩართული იყო 8-დან 16 წლამდე 81 ახალგაზრდა ოზურგეთის ქალაქის სკოლებიდან, ასევე დაბა ლაითურის, დაბა ნარუჯის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამრევლო სკოლებიდან.

ტრენინგ-პროგრამა მოიცავდა 10 აკადემიურ საათს. ახალგაზრდებს განუვითარდათ მათი ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისი კომპეტენციები – ფინანსურ წიგნიერებაში, დასაქმებისთვის მზაობასა და მეწარმეობაში.

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი და „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო“ გეგმავენ სხვადასხვა რესურსების მოძიებას, რათა გურიის რეგიონში ყველა ბავშვს ჰქონდეს ბიზნეს უნარ-ჩვევების პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ გურიის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

ა(ა)იპ „**junior eCivment** საქართველო“ არის „**junior eCivment** მსოფლიოს“ პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში. მისი მიზანია, მოამზადოს ახალგაზრდები გლობალურ ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად.

ბიზნეს უნარ-ჩვევების დაწყებითი განათლების პროგრამების ქართული ვერსია `**junior eCivment** საქართველომ“ მოამზადა აშშ საერთაშორისო განვითარების საგენტოს (**USAID**) საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (**G-PriEd**) ფარგლებში, რომლის მიზანია ახალგაზრდებში ფინანსური წიგნიერების ამაღლება. მათთვის სამეწარმეო უნარების განვითარებასა და სამუშაოსთვის მზაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

2017 წლის იანვრიდან `junior eCivment საქართველო“ შესაძლებლობას აძლევს ყველა სკოლას, მათ შორის კერძო სკოლებსაც და ახალგაზრდულ ცენტრს ჩაერთონ ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამაში, რათა აღნიშნული უნარ-ჩვევები და სასწავლო მეთოდოლოგია უფრო მეტი მოსწავლისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს და დღის ცენტრ „მომავლის სხივის“ ბენეფიციარებს მიულოცა

გამგებელმა მოადგილესთან, გამგეობის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსთან და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების თანამშრომლებთან ერთად სოფელ ოზურგეთის, მაკვანეთის, შემოქმედისა და გურიანთის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს, ასევე, საბავშვო დღის ცენტრ „მომავლის სხივის“ ბენეფიციარებს საჩუქრები გადასცა და სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებულ ღონისძიებებს დაესწრო.

„ჩვენი სიცოცხლის გაგრძელება ჩვენი ბავშვები არიან. ვულოცავ ყველა პატარას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ვუსურვებ კეთილდღეობას, მშვიდობას, ჯანმრთელობას, დაცულ, ერთიან ქვეყანაში ცხოვრებას. ჩვენ კი საკუთარი მაგალითით უნდა ვასწავლოთ შვილებს როგორ იცხოვრონ ღირსეულად, ვაჩუქოთ მათ ბედნიერი ბავშობა და გავულამაზოთ დღეები,“- აღნიშნა მერაბ ჭანუყვაძემ.

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის ონლაინ რეგისტრაცია დასრულებულია

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის ონლაინ რეგისტრაცია დასრულებულია, ამის შესახებ გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილმა გააკეთა კომენტარი:

— გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია აქტიურად იყო ჩართული მოქალაქეთა კონსულტირებაში და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა მათ, რომ გაეარათ რეგისტრაცია და ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ბიზნეს იდეები. დაახლოებით 100-მდე ბენეფიციარმა მიმართა მათ დასახმარებლად, ზოგ მათგანს ეწეოდა კონსულტაციები და თვითონ ახერხებდნენ რეგისტრაციას და იმ ბენეფიციარებს, რომელთაც არ აქვთ კომპიუტერი და ინტერნეტის საშუალება, მათ ჩვენი სპეციალისტები ეხმარებოდნენ იდეის რეგისტრაციაში

—ძირითადად რა სახის პროექტებზე ითხოვდნენ ბენეფიციარები კონსულტაციებს?

—პრაქტიკულად, ბენეფიციარების ბიზნეს იდეები იყო მრავალმხრივი იდეების უმეტესობა ეხებოდა მეცხოველეობის განვითარებას, მეღორეობას, მეფრინველეობას, მებოცვრეობას, სოკოს წარმოებას, მომსახურების სხვადასხვა სფეროებს ავტოშემკეთებელ პროფილაქტიკებს, სწრაფი კვების ობიექტებს, საცხობებს, სამკერვალო ატელიეებს, სილამაზის სალონებს და სხვა.

— რამდენი ბიზნეს-გეგმა დაფინანსდა გასულ წლებში?

—გასულ წლებში პირველ და მეორე ეტაპზე გურიაში დაფინანსდა 172-ბიზნეს იდეა, რაც არცთუ მცირე შედეგია რეგიონისათვის, დაფინანსებულია რამდენიმე მიმართულებები: სილამაზის სალონები, მეცხოველეობები და მეფრინველეობები, პროფილაქტიკები, საცხობები და სხვა მრავალი მიმართულებები, ამაშიც გუბერნატორის ადმინისტრაციის სპეციალისტებს დიდი წვლილი აქვს შეტანილი რომ წარმატებით ჩატარებულიყო ეს სახელმწიფო პროგრამა, ყველა შეხვედრის ორგანიზება და ჩატარება მოხდა სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და თანადგომით, რომელსაც ჯი-ემ-სი-ჯი ჯგუფი ახორციელებდა, პროგრამა ითვალისწინებდა კონკურსის წესით განხილვასა და დაფინანსებას, ის ბენეფიციარები რომლებიც ადრე ვერ დაფინანსდნენ ეხლა მიეცათ შანსი, რომ კორექტირებები შეეტანათ თავიანთ ბიზნეს იდეაში და თავიდან დაერეგისტრირებინათ.

— ამ ეტაპზე რა სახის პროექტები არ დაფინანსდება?

— არ დაფინანსებულა და ახლაც ვერ დაფინანსდება მეფუტკრეობის მიმართულება, რადგან ბენეფიციარების პროექტით დაფინანსება სავარაუდოდ შემოდგომაზე მოხდება და ამ დროს ბუნებაში ღალიანობის პერიოდი უკვე დამთავრებულია.

საჯარო შეხვედრა: საგარეო პოლიტიკა – ევროკავშირი და ვიზალიბერალიზაცია

31 მაისს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა I) და ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის არჩილ თალაკვაძის ორგანიზებით, გაიმართა საჯარო შეხვედრა თემაზე „საგარეო პოლიტიკა — ევროკავშირი და ვიზალიბერალიზაცია.“

შეხვედრაზე **NDI**-ის წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ევროკავშირისა და ვიზა ლიბერალიზაციის მიმართ მოსახლეობის განწყობები საქართველოში.

პრეზენტაციის შემდეგ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობაზე და კონკრეტულად ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის მნიშვნელობაზე.

შეხვედრას, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ესწრებოდნენ მედიისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა დაესვა კითხვები და **NDI**-ისა და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიეღო დისკუსიაში.

აღნიშნული ღონისძიება ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის **UK aid-**ის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ქალაქ ოზურგეთში სხვადასხვა აქტივობით აღინიშნა

კულტურისა და დასვენების პარკს პატარები მთელი დღის მანძილზე სტუმრობდნენ და სხვადასხვა გასართობ ღონისძიებას ადევნებდნენ თვალს. დღის მთავარი აქტივობა კონცერტი გახლდათ, რომელშიც მონაწილეობა კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თანამედროვე ცეკვების ჯგუფმა, ანსამბლებმა ჯუთა, ენკი-ბენკი და ბინული და საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა მიიღეს. ასევე, გაიმართა გამოფენა, ფლეშ-მობი და შესრულდა სხვადასხვა აქტივობები.

ქალაქის მერმა **ბეგლარ სიორიძემ** პატარებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა და წარმატებები უსურვა.

კულტურისა და დასვენების პარკის ატრაქციონები ბავშვთა დღესთან დაკავშირებით პატარებისთვის უფასო იყო.

ღონისძიებების ორგანიზატორი ქალაქ ოზურგეთის მერიის კულტურის სამსახური, სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი და კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი გახლდათ.

სოფელ გურიანთის ხიდის რეაბილიტაცია დასრულდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში, გასული წლის 8 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად 2 უბნის დამაკავშირებელი სახიდე გადასასვლელი ჩაინგრა. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 180 000 ლარი გამოეყო, აღნიშნული თანხის ფარგლებში განხორციელდა ხიდის აღდგენითი სამუშაოები.

დასრულებული სამუშაო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **მერაბ ჭანუყვაძემ** და გამგებლის მოადგილემ, **ბადრი გობრონიძემ** სოფლის დეპუტატთან ერთად მოინახულეს.

სამუშაოები - სამშენებლო კომპანია „ბესტმა“ შეასრულა.

„გასულ წელს, წყალმოვარდნის შედეგად რამდენიმე სოფელში დაზიანდა სახიდე გადასასვლელები. რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში მომზადდა ახალი ხიდის პროექტი და აღდგენითი სამუშაოებიც დაიწყო. დღეს უკვე ორი უბნის დამაკავშირებელ ახალ სახიდე გადასასვლელზე სამანქანო მოძრაობა აღდგენილია,“ — განაცხადა გამგებელმა.

ლიხაურში სარწყავი არხის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია დაიწყო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში სარწყავი არხის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე, გამგებლის მოადგილე, ბადრი გობრონიძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი, გოჩა აბაშმაძე ადგილზე გაეცნენ. სათავე ნაგებობა, წლების წინ, წყალმოვარდნის შედეგად დაზიანდა. მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო თანხა და არხის რეაბილიტაცია მოეხდინა. სამუშაოების ღირებულება 140000 ლარს შეადგენს. პროექტის დასრულების შემდეგ ახალი სარწყავი სისტემით 450 ოჯახი ისარგებლებს.

სილაურში ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეცნობა.

სამშენებლო სამუშაოები მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ხორციელდება.

სილაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა გასული წლის სტიქიის დროს დაზიანებული ხიდის მშენებლობა, მოეწყო ნაპირდამცავი გაბიონები და განხორციელდა მდინარის გასწორხაზოვნების სამუშაოები.

„სილაურში დასრულდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები. გასულ წელს აქ ძლიერი წყალმოვარდნის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა ორი უბანი. პროექტის ფარგლებში მოეწყო 160-მეტრიანი ქვის გაბიონი, შეკეთდა გადასასვლელი ხიდი და მოხდა მდინარის გასწორხაზოვნება. პროექტების შესასრულებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამოეყო 163 000 ლარი. სამუშაოები შეასრულა სამშენებლო კომპანია „ბესტმა“, - აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ



ოხ, ეს „ონავრები“

ორიოდე კვირის წინ ქალაქის №6 საბავშვო ბაღმა „მხიარული ნოტებით“ თავისი „მერცხლები“ (5-6-წლიანთა ჯგუფი) დააფრინა, ახლა კი მისმა მოუსვენარმა „ონავრებმა“ (3-4-წლიანი ჯგუფი) საოცარი „გაზაფხულის მეჯლისით“ დაგვამახსოვრეს თავი. ეს იყო ერთ მუსიკალურ კომპოზიციად შეკრული მშვენიერი საბავშვო ღონისძიება უმშვენიერესი ბავშვების მონაწილეობით.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების, აღმზრდელთა და მშობელთა მოწონება დაიმსახურეს: **საბა ლომინაძემ, ილია მაისურაძემ, გიორგი მენაბდემ, ნიკოლოზ ცინცაძემ, ალექსანდრე სადრაძემ, გიგა ჩავლეიშვილმა, მარიამ თალაკვაძემ, ალექსანდრე ნაუმოვმა, ქრისტინე მანკასარიანმა, ბუკა გუჯაბიძემ, გვანცა ეგნატოსანმა, ანდრეა მაისურაძემ, ნინი ნაცვალაძემ, ნიკოლოზ ტრაპაიძემ, თებეა მენაბდემ, გაბრიელ კეკელიძემ, მარიამ მარგალიტაძემ, ქეთე მარგალიტაძემ, ცოტნე სუშკინმა, მადინა კობერიძემ, ეკატერინე მამალაძემ, კახაბერ სირაძემ, მიშო სანიკიძემ, ნია ასკურავამ, გიორგი ბორჩხაძემ, ანდრეა შეწირულმა, გაბრიელ შათირიშვილმა, მარიამ მსხილაძემ, ანდრეა თენეიშვილმა, ვაკუ კიკვაძემ, რეზი ბოლქვაძემ.**

საბავშვო ბაღის მენეჯერია **მ. ლომჯარია**, აღმზრდელები — **თ. ლომთათიძე, ლ. ღურწკაია,** მუსიკის მასწავლებელი — **მ. მამაკაიშვილი.**

პირველსკოლელ მოსწავლეთა ჭეშმარიტი ბენეფისი...

ნუკრი ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში (დირექტორი მაია თავართქილაძე), ლიტერატურის მოყვარულთა კლუბის ზრუნვა-მოწადინებით, ოზურგეთის სინამდვილეში ამ უძველეს, 170-წლოვან სასწავლებელში შინაარსიანად და ერთობ ხატოვნად აღინიშნა შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება „სულმნათო მადლი შენს გამჩენს, დიდება ერსა, შენს მშობელს“.

მხატვრულად თეატრალიზებული სასკოლო ზეიმის დაწყებას წინ უძღოდა თამარისეული ეპოქის წარმოსახვითი ინსცენირება, რასაც კეთილსახოვანმა ნორჩებმა ნამდვილად დამაჯერებლად გაართვეს თავი.

პირველსკოლელთა იმდღევანდელ საიუბილეო წარმოდგენას ერთგვარ ფონად გასდევდა რუსთაველის აფორიზმებზე აგებული მახვილსიტყვაობანი.

ეკრანზე თითქოსდა ზედიზედ ცოცხლდებოდა უკვდავი ვეფხისტყაოსნის თემატიკაზე დასურათხატებული პეიზაჟები და იერხედები, ფიროსმანის, მიხაი ზიჩისა და სხვა საქვეყნოდ განთქმულ მხატვართა ფერწერული შედევრები, თვალსაჩინოებებით ილუსტრირებული სცენები, გაისმოდა გულში ჩამწვდომი ქართული ხალხური სიმღერები, იმპროვიზირებულ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ცეცხლოვანი ქართული ცეკვები... ნორჩ ქორეოგრაფთა მიერ წარმოდგენილ საცეკვაო ნომრებში ხშირად ნამდვილი ნაპერწკლებიც გაიკვესებდა ხოლმე... მეტადრე დამაჯერებლად გაითამაშეს ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გათავისუფლების სცენა...

სამაგიდო წიგნად აღიარებული პოეტური შედევრის იმდღევანდელი ინსცენირება „სულ რაღაც“ საათ-ნახევარში ჩაეტია...

სპექტაკლის დასასრულს ხშირად გაისმოდა მოწონების ომახიანი შეძახილები: „ბრავო“, „ბრავისიმო“, „რეპეტე“...„ბისის“ შეძახილებით არაერთხელ უხმეს სახელდახელო სცენაზე ნორჩ შემსრულებლებს...

ხატოვანი საღამოს დასასრულს იქვე საშური იდეა იშვა, ამიერიდან სრულიად საქართველოში აღდგეს „ვეფხისტყაოსნის“ მზითევში გატანების ტრადიცია და საამისოდ უფროსკლასელთა მიერ ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტიც აჩვენეს!..

ასევე ერთობ შთამბეჭდავი იყო მეხუთეკლასელთა სახელით წარმოდგენილი „გვირილები“.

წერილის დასასრულს აქვე ისიც უსათუოდ უნდა დავძინოთ, რომ იმდღევანდელი მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია პირველი საჯარო სკოლის პედაგოგ მანოლი ვაშალომიძის დაუზარელი ძალისხმევით და რუდუნებით მომზადდა.

ნორჩ მევიოლინეთა კონცერტი

ალიონი. გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი **ლელა შარაშენიძე**), ნორჩ მევიოლინეთა კონცერტი გაიმართა. სკოლის მოსწავლეებს მართალია სტრადივარიუსის თუ ამატის ვიოლინოები არ ეპყრათ ხელში, მაგრამ მათი „ნახევარია“-დან საამოდ ისმოდა სოლ, რე, ლა, მი...

პედაგოგ ხათუნა ცხომელიძის 15-მა მოსწავლემ მცირე დარბაზში მყოფ უამრავ მსმენელს თავისი ოსტატობა აჩვენა. შემდეგ მევიოლონეთა ანსამბლიც წარსდგა მსმენელების წინაშე. ბოლოს კი თავად პედაგოგმა მოხიბლა დარბაზში მყოფნი.

კონცერტი რომ წარმატებული დარჩა, ამაში დიდი წვლილი კონცერტმაისტერს მედეა კალანდარიშვილს მიუძღვის.

გაკვეთილი ღია ცის ქვეშ



ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მე-3 1 კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი მანანა კეჭაყმაძე, მუსიკის მასწავლებელი ზაირა გოგიბერიძე) გაკვეთილი ღია ცის ქვეშ ჩაატარეს, რომლის მიზანი მოსწავლეთა მიერ გურული სიმღერების მცოდნეთა და მოამაგეთა შესახებ წაკითხული და მოძიებული მასალების პრეზენტაცია იყო.

მოსწავლეებმა თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს გურული სიმღერების მოამაგეების ფილიმონ ქორიძის, ვარლამ სიმონიშვილის, გიორგი სალუქვაძის, ძმები ერქომაიშვილების, ბერძენიშვილების, ჩავლეიშვილების, სიხარულიძეების მიმართ. გაიმართა მოძიებული მასალების ურთიერთგაზიარება.

მოსწავლეებს სტუმრად გიორგი სალუქვაძის ვაჟი საყვალა სალუქვაძე ჰყავდათ მიწვეული, რომელმაც მამის შემოქმედებაზე და საერთოდ გურიაში ფოლკლორის განვითარებაზე ისაუბრა.

როგორც მუსიკის პედაგოგმა **ზაირა გოგიბერიძემ** გვითხრა, მოსწავლეებს გურული სიმღერების შესწავლაში ლოტბარი **ტრისტან სიხარულიძე** და **მარინა ძველაია** დაეხმარათ. პრეზენტაციაზე მათ მიერ შესავლილი სიმღერები შეასრულეს.

მოსწავლეებმა ყვავილებით ფილიმონ ქორიძის, გიორგი სალუქვაძის, სიკო დოლიძის ბიუსტები შეამკეს.

ღია გაკვეთილზე აქტიურობით გამოირჩეოდნენ: **გუჯა ჩანტლაძე, ვატო სალუქვაძე, ნიკა მჟავანაძე, ავთო კუნჭულია, გიორგი სოხაძე, ნიკა დოლიძე, გედი ქუტიძე, ელენე კილაძე, მარიამ ჭანუყვაძე, მარიამ მახარაძე, მარიამ გელაშვილი, ნანა ბერსენაძე, გიორგი საჯაია, მარიამ რამიშვილი**.

ღია გაკეთილის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს ზაირა მასწავლებლის ყოფილმა მოსწავლეებმა მე-5 1 კლასიდან: **ბუბა ურუშაძემ, მარი ნელსონმა, ზურა ანდღულაძემ.**

შთამბეჭდავი მუსიკალური კლიპები

ნუკრი ნიკოლაიშვილი

ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შთამბეჭდავ საღამოზე, სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლასთან (დირექტორი **ფატი სიორიძე**), არსებული მუსიკალური სტუდია „არტ ჯუნიორის“ აღსაზრდელებმა, უამრავი სასურველი სტუმრის თვალწინ ხატოვნად წარმოადგინეს თავიანთი უშუალო და ხალასი შემოქმედება.

აქვე ისიც უსათუოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სტუდიას, რომელსაც პედაგოგი **მაია თოთიბაძე** ხელმძღვანელობს, ახლახან ერთგვარი იუბილე შეუსრულდა და დაარსებიდან 4 წლისთავი იზეიმა.

კეთილსახოვანმა ნორჩებმა საიუბილეო პრეზენტაცია გალა-კონცერტით და მუსიკალური კლიპების ცოცხალი შესრულებით აღნიშნეს, რაც ჩვენს სინამდვილეში ერთობ იშვიათია.

მუსიკალური კლიპების მომზადებაში სტუდიის წევრებს რეჟისორი **ხათუნა სალუქვაძე** დაეხმარა. კლიპების მომზადებაში განუზომელია ოპერატორ **ზაზა მარშანიშვილის** წვლილი, ხოლო კლიპების მუსიკალური ავტორობა **ნატო თოთიბაძეს** ეკუთვნის.

ისიც სათქმელია, რომ სტუდიის იმდღევანდელ ბენეფისში უდიდესია თითოეული მშობლის ღვაწლი.

იუბილე

ზნეკეთილობისა და კაცურკაცობის ეტალონი

გიორგი იობიშვილი – 100



გიორგი იობიშვილი (მარცხნივ), აკადემიკოს ალექსანდრე ვიშნევსკისთან ერთად

ჩვენი და მომავალი თაობების ვალია არდავიწყება იმ ადამიანებისა, ვინც თავდადებით ემსახურებოდნენ და მომავალშიც მოემსახურებიან სამშობლოს, ხალხს და თავიანთ საქმეს. ბევრმა შეიძლება ეს სიტყვები პათეტიკურად ან დრომოჭმულად ჩაგვითვალოს, მაგრამ მათ ვერ დავეთანხმები. ღირსეული ადამიანების დამსახურების დაფასება ჩვენს ხალხს ყოველთვის შეეძლო და ეს მომავალშიც უნდა გააკეთოს, თუ უნდა, რომ ერს მძლავრი ფესვები და მყარი ნიადაგი ჰქონდეს და დიდხანს იარსებოს, რადგან ქვეყანა სწორედ ასეთი ადამიანების მხრებზე დგას.

საბედნიეროდ, ჩვენს ერს მრავლად ჰყავდა და ჰყავს ისეთი ადამიანები, რომელთა მიერ განვლილი გზისთვის თვალის გადავლება და ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება მომავალი თაობების აღზრდის საუკეთესო სკოლაა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო გიორგი (ჟორა) იობიშვილი. დიდად მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა, ამ საგაზეთო სტატიით პატივი მივაგო ბატონი გიორგის ნათელ ხსოვნას, მადლიერება გამოვხატო ამ სულით მდიდარი და კეთილშობილებით აღსავსე ადამიანისადმი.

ბატონი გიორგი (ჟორა) იობიშვილი, ამ წერილის პერსონაჟი, ერთ-ერთი ჩვეულებრივი კაცი იყო, რომელმაც თავისი უშუალობითა და სიკეთით მრავალთა სიყვარული დაიმსახურა. ეს დამსახურებული, ამაგდარი პიროვნება ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მრავალ ჭირს ვაჟკაცურად სძლია და ღირსეულად ატარა ნამუსიანი კაცის სახელი.

ბატონი გიორგი 100 წლის წინათ, 1917 წლის 10 მაისს სოფელ მიქელგაბრიელში (ამჟამინდელი შრომა) ნესტორ იობიშვილისა და სოფიო აბულაძის შრომისმოყვარე ოჯახში დაიბადა.

გიორგიმ 1933 წელს დაამთავრა შრომის არასრული საშუალო სკოლა. 1934-1936 წლებში სწავლობდა ჩაქვის ჩაის მრეწველობის ტექნიკუმში. 1939 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, შემდეგ – მეორე მსოფლიო ომში, სადაც პირველი საბრძოლო ნათლობა 1941 წლის 10 ივლისს მიიღო. 1943 წლის აგვისტოდან იგი პოლონეთში, გენერალ ფედოროვის პარტიზანულ შენაერთში იბრძოდა, ე. წ. ხუტორას განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიჭრა კიდეც. მიუხედავად მძიმე სიძნელეებისა, გიორგის ოცეულმა დავალება უნაკლოდ შეასრულა, თავს დაესხა კბილებამდე შეიარაღებულ სურსათის საწყობში გამაგრებულ გერმანელებს, გაანადგურა ისინი და სურსათი პოლონელ გლეხებს დაუბრუნა. 1945 წლიდან უკვე ბატონი გიორგი რეგულარულ სამხედრო ნაწილში იბრძოდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლონეთის ქალაქ ლიგნიცის გათავისუფლებაში.

მტრის ზურგში, დაზვერვაში განსაკუთრებული დავალების შესრულებისათვის დააჯილდოვეს მედლით „მამაცობისათვის“, ხოლო ლიგნიცის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის – „წითელი ვარსკვლავის ორდენით“.

1945 წლის დეკემბერში ომგადახდილი და გამარჯვებული ვაჟკაცი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. 1946-1958 წლებში მუშაობდა შრომის ჩაის ფაბრიკაში სხვადასხვა თანამდებობაზე. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაუსწრებლად დაამთავრა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1958 წელს აირჩიეს სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 30 წლის მანძილზე, საკოლმეურნეო მშენებლობის ნიჭიერ ორგანიზატორან, ბატონ მიხაკო ორაგველიძესთან ერთად, ხელმძღვანელობდა სოფლის წინაშე მდგომი ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს.

ბატონი გიორგი წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს არჩეული იყო რაიონული და სასოფლო საბჭოს დეპუტატად.

გიორგის ყოველთვის გვერდით ედგა მასზე არანაკლებ წარმატებული თავისი დედმამაშვილი, ყველა შრომელისათვის საამაყო ქალბატონი, ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე.

რაც შეეხება ბატონი გიორგის დიდებულ ოჯახს, იგი მან ქალბატონ თინა თევზაძესთან ერთად შექმნა. მათ ქვეყანას აღუზარდეს ორი შესანიშნავი შვილი – ლიანა და გურამი. ქალბატონი ლიანა წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ბიბლიოთეკაში, ხოლო გურამ იობიშვილი, სოფლის მეურნეობის სწავლული და გამოცდილი სპეციალისტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილეა.

„ესენი ჩემი დიდი იმედი და სიხარულიაო“, შვილიშვილებზე იტყოდა ხოლმე. კვიცი გვარზე ხტის, მისი შვილიშვილები და შვილთაშვილები ისეთებია გიორგის დიდ ოჯახს რომ შეშვენის და ეკადრება.

ბატონი გიორგი ზნეკეთილობისა და კაცურკაცობის ეტალონი იყო. ირგვლივ მყოფთათვის მუდამ სითბოსა და ნათელ შუქს გამოსცემდა. ამ უხილავი ძალით ადუღაბებდა ის ურთიერთსიყვარულის ჯაჭვის უმტკიცეს რგოლებს.

ბატონი გიორგის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მეგობრებს. მისი სამეგობრო წრე ცდებოდა ქვეყნის ფარგლებს. უამრავი მეგობარი ჰყავდა და არც ერთს არ ტოვებდა უყურადღებოდ.

„1967 წელს მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე. ფილტვებში დარჩენილმა ყუმბარის ნამსხვრევებმა საშინლად გამახსენა ფრონტული ტკივილები. მოსკოვში, აკადემიკოს ა. ვიშნევსკის კლინიკაში ექვი თვე ვიწექი, მიხაკომ ორჯერ მომინახულა ოპერაციამდე და მის შემდეგ. რა დამავიწყებს გამოცდილ ქირურგს რადიომიმღები რომ მიართვა წარწერით „შრომის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან“. საჩუქრის გადაცემას ესწრებოდა მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა, კლინიკაში იური გაგარინის სანახავად რომ იყო მოსული“, – იხსენებდა ბატონი გიორგი.

აკადემიკოს ვიშნევსკისთან და კლინიკის სამედიცინო პერსონალთან დაწყებული მეგობრობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა როგორც ოზურგეთში ისე მოსკოვში. კლინიკის სამედიცინო პერსონალი ხშირად იყო ოზურგეთისა და კერძოდ, ბატონ გიორგი იობიშვილის ოჯახის სტუმარი.

თანასწორთა შორის მოლხენის დიდ მოტრფიალეს, ღვინო ვერასოდეს დაჯაბნიდა, ყოველთვის ზომიერებას და გონიერებას ინარჩუნებდა. უბადლო თამადა და ლხინის ორგანიზატორი გახლდათ, რაგინდ ხალხმრავალი სუფრა ყოფილიყო, მთელ დარბაზს „ხელში აიყვანდა“, დიდსა და პატარას ხასიათს უსწორებდა და თავის ენაზე ესაუბრებოდა.

მამულიშვილთა სიმრავლით სოფელ შრომას ძნელად რომ ბადალი მოეძებნოს. რასაკვირველია, სახელდებული სოფელი კვლავაც ბევრ გამორჩეულს დაზრდის, დაზრდილთა და დასაზრდელთა შორის კი ჩრდილში არასდროს მოექცევა ყველა ადამიანური ღირსებით შემკული ისეთი დიდებული პიროვნება, როგორიც გიორგი იობიშვილი გახლდათ.

რომან ცეცხლაძე,
ჟურნალისტი, სოფელი შრომა.

„თაობა, რომელიც თავის სიტყვას იტყვის და საკუთარ ხმას მსოფლიოს გააგონებს“

საოცარი თაობაა, რომელსაც, უზადოდ ხელეწიწება შემოქმედება – სიმღერა, ცეკვა, სასცენო ხელოვნება, კალმოსნობა, იუმორი, მაგრამ ხომ შეიძლება რომელიმეში რაღაც მეტ-ნაკლებობა შეამჩნიო? არა! 30 მაისს მუსიკალურ შადრევანს ისეთი ახალგაზრდა ხელოვანები ამშვენებდნენ, რომელთაც სუსტი წერტილი არ გააჩნიათ.

მოკლედ, ეს ისეთი საღამო იყო, რომლის მოსაწვევი ცოტა ხანში ანტიკვარული ნივთი გახდება და გირჩევთ შეინახოთ!

საღამო საღამოდ და კინაღამ დაგვავიწყდა მთავარი: კლასი, რომელსაც 7 მარიამი და 7 გიორგი ჰყავს (ესეც საოცარია!) რა აკადემიური მოსწრებით მოვიდა ამ საღამომდე. შემიძლია, გაგაცნოთ 11 ოქროს მედლის კანდიდატი: **მარიამ გიორგაძე, სალომე ვადაჭკორია, ერეკლე ვახრამოვი, ანანო მეგავნაძე, მარიამ ნიქობაძე, რეზო ურუშაძე, ნინო ქორიძე, ტარიელ შარაძე, მარიამ ჩანტლაძე, ქეთევან ჯაფარიძე, მარიამ შევარდნაძე.**

რასაკვირველია, ასეთი შთამბეჭდავი შედეგი მხოლოდ ნიჭიერებით არ მოდის. საამისოდ ნიჭიერთათვის სწორი მიმართულების მიცემა, მათი მართებულად წვრთნა, ყოველდღიური რუდუნებაა აუცილებელი და ბარაქალა მეორე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობასა და პედაგოგებს, განსაკუთრებით კლასის დამრიგებელს ქალბატონ **იზო სიხარულიძეს**, ვისთვისაც ეს მეთერთმეტე გამოშვებაა, ვინაცწლეულს 31 ასეთი შვილი დაფრთიანა. როგორც გვითხრეს, წინა ათშიც არანაკლები მოსწავლეები ჰყავდა. ამიტომ, ახლა, ამ წუთებში არ მეგულება სხვა, ვინც, ქალბატონ იზო სიხარულიძეზე ზუსტად და უკეთესად გასცემს პასუხს ადამიანთა მოდგმისათვის მარადიულად საინტერესო კითხვაზე: რა არის ბედნიერება?

„თქვენ ხართ თაობა, რომელიც თავის სიტყვას იტყვის და საკუთარ ხმას მსოფლიოს გააგონებს“ – ეს სიტყვები, რომელიც ამ გრანდიოზულ საღამოზე ითქვა, სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ფატი სიორიძეს** ეკუთვნის და შემიძლია გითხრათ, რომ მისი ეს ემოციური ოპტიმიზმი გადაუჭარბებელია და რეალობაზეა გათვლილი:

„თქვენ ხართ თაობა, რომელიც თავის სიტყვას იტყვის და საკუთარ ხმას მსოფლიოს გააგონებს, ამის ერთგვარი უვერტიურა თქვენი თანაკლასელის ერეკლე ვახრამოვის წარმატებაა. თქვენ ხართ მომავლის თაობა, რომლისგანაც ქვეყნის მერმისი უნდა იშვას. ამიტომ ვდგავარ აქ, თქვენს წინაშე, რიდითა და მოკრძალებით, ამიტომაც ვფიქრობ, პატივცემულო საზოგადოებავ, რა სიტყვები მოვძებნო, ამ ბავშვებისადმი ჩემი პატივისცემა, სასოება და სიყვარული რომ დაიტიოს?!

ერთი კლასიდან 11 მედალოსანი! ვფიქრობ, უპრეცედენტო შემთხვევაა.

თქვენ საატესტატო გამოცდებითაც დაამტკიცეთ, რომ ღირსეულნი ხართ. თქვენ მიერ მიღებული საუკეთესო ქულები ჩვენი დიდი გამარჯვებაა, ზოგიერთი თქვენგანის წაფორხილება თუ მცირე წარუმატებლობა ჩვენი ტკივილია. მჯერა ეროვნული გამოცდებიც საუკეთესო ასპარეზია თქვენი ცოდნის, ნებისყოფისა და განათლების გამოსავლენად. თქვენს შორის არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომელთა წარმატებების ჩამოთვლას სხვადასხვა სფეროში საათებიც კი დასჭირდება..

ცრემლები ბურთივით მეჩრება ყელში, რადგან ასეთ წუთებში ემოცია ენით გამოუთქმელია. თქვენი სკოლა, მასწავლებლები დაველოდებით თქვენი სახელების გაბრწყინებას და თავაწეულნი, ამაყად ვიტყვით, რომ ამ ყველაფერში წვლილი ჩვენც მიგვიძღვის.

წარმატებულ ბედნიერ მერმისს გისურვებთ!..“

სხვათა შორის, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქალბატონი ფატი დღეს იუბილარია. ვულოცავთ!.

ორიოდე სიტყვა ვთქვათ მათზეც: ვინც სული შთაბერა ამ დაუვიწყარ საღამოს:

ბოლო ზარის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და სცენარის ავტორი გახლდათ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, XII[1] კლასის დამრიგებელი, ქალბატონი იზო სიხარულიძე; საზეიმო საღამო მუსიკალურად გაფორმა ამავე სკოლის პედაგოგმა, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა, მაღალი კულტურის მუსიკოსმა, ქალბატონმა მაია თოთიბაძემ; ქართული და საზღვარგარეთული ცეკვები მოამზადეს ქორეოგრაფებმა ქეთევან ზაქარიაძემ და ბექა თოიძემ, რეჟისორული ნამუშაკარი კი ოზურგეთელთათვის კარგად ცნობილ ახალგაზრდა რეჟისორს – ვახტანგ ჩხარტიშვილს.

და ბოლოს ამაყად ვაცხადებთ იმ მოსწავლეთა სიას, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის 2016-2017 სასწავლო წლის XII[1] კლასის კურსდამთავრებული:

გიორგი ბაჯელიძე, ბექა ბერსენაძე, ვაკო გობრონიძე, გიორგი გოგოტიშვილი, ნიკოლოზ გოგუაძე, მარიამ გიორგაძე, გიორგი დოლიძე, ლაშა ერქომაიშვილი, სალომე ვადაჭკორია, ერეკლე ვახრამოვი, მიშიკო თოიძე, შოთა მახარაძე, ანანო მეგავნაძე, გიორგი მეგავნაძე, გიორგი მეგავნაძე, მარიამ ნიქობაძე, ლაშა სამსონია, გიორგი ურუშაძე, რეზო ურუშაძე, ნანა ქარჩავა, ნინო ქორიძე, ტარიელ შარაძე, მარიამ შოშიტაიშვილი, მარიამ ჩანტლაძე, ხვიჩა წულაძე, მარიამ ხომერიკი, ქეთევან ჯაფარიძე, სოსო ჯიჯგიშვილი, სოფო გოგუაძე, მარიამ შევარდნაძე.

ეს კურსდამთავრებულები არა მხოლოდ მეორე სკოლის, არამედ მთელი ქვეყნის მეთორმეტე პირველობას იმსახურებენ.

გასტროლები მაესტროს ხსოვნას ეძღვნება

გიზო ჟორდანიას სპექტაკლი „ბოშები“, ამ სახელოვანი რეჟისორის უკანასკნელი ნამუშევარი აღმოჩნდა. სპექტაკლის პრემიერა ოზურგეთის თეატრის ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე შედგა, რითაც გაიხსნა კიდეც ფესტივალი.

თურქეთის საერთაშორისო ფესტივალის შემდეგ, თეატრი კვლავ საქართველოს რეგიონებს ეწვევა. თეატრის საგასტროლო ტურნე გრძელდება სპექტაკლით „ბოშები“, რომელიც გიზო ჟორდანიას ხსოვნას ეძღვნება.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ვასო ჩიგოიძის სიტყვებით ოზურგეთის თეატრი „ბოშებს“ მთელ საქართველოს უწვენებს და ეს თეატრის მხრიდან მადლიერების გამოხატვაც არის:

- „თბილისშიც, საერთაშორისო ფესტივალებზეც, საქართველოს ყველა კუთხეში ვითამაშებთ დუმბაძის „ბოშების“ ჟორდანიასეულ ინტერპრეტაციას. გიზო ჟორდანია იყო მშვენება ჩვენი ფესტივალის, რომელიც შარშან პირველად გაიმართა. ოზურგეთის თეატრში ორი თვის განმავლობაში ტარდებოდა ბატონი გიზოს რეპეტიციები, იგივე მასტერ კლასები, რომელსაც მსხიობებთან ერთად დირექცია, შემოქმედებით-ტექნიკური პერსონალი, ვისაც საშუალება ჰქონდა, ყველა სიამოვნებით ადევნებდა თვალს. თეატრი მადლობელია მისი თანადგომისა და მეგობრობის. მაესტროს დიდკაცობას, დიდ პროფესიონალიზმს და მისი ნათელი სულის ხსოვნას ვუძღვნით მის ბოლო პრემიერას.“

„ბოშების“ ჩვენება პირველად ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში 6 ივნისს, 17 საათზე შედგება.

გორში, კომედიის საერთაშორისო ფესტივალში ოზურგეთის თეატრი „ბოშებს“ 11 ივნისს, 18 საათზე გორის თეატრის დიდ სცენაზე წარმოადგენს, 14 ივნისს, 20 საათზე ბათუმის ხელოვნების სასახლეში. ივლისსა და ოქტომბერში ფოთისა და თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალები იქნებიან „ბოშების“ მასპინძლები...

ბატონი გიზო სპექტაკლის ანოტაციაში წერდა: „ - როგორც ბოშები მოექცნენ გულრულებს, ეს მათი ცხოვრების წესიდან არის გამომდინარე. სიმპათიურნი, ქარიზმატულნი, ნიჭიერებით დაჯილდოებულნი სხვაგვარად ვერ იქცევიან... ქურდობა თუ ტყუილი მათი საარსებო საშუალებაა. ასეთებად გააჩინა ისინი მამაზეციერმა... გურულების პასუხი მათ ღალატზე, მაღალი ზნეობიდან გამომდინარე, მართლმადიდებლური, ზოგადქართულია. შემთხვევითი როდია დიდმა გალაქტიონმა გენიალური სტრიქონები რომ მიუძღვნა ქართული მოდგმის ამ იშვიათ წარმომადგენლებს.

P.S. ოზურგეთი კი ის ქალაქია და მისი დრამატული თეატრი ის განსაკუთრებული ერთეულია, სადაც შემოქმედებითი ცხოვრება მაღალი იდეალებით სუნთქავს.“

სპექტაკლის სცენოგრაფია ლომგულ მურუსიძე, მუსიკალური გაფორმება ცნობილ კომპოზიტორს გომარ სიხარულიძეს ეკუთვნის. სპექტაკლში ოზურგეთის თეატრის დასის თითქმის მთელი შემადგენლობა მონაწილეობს. იგი აერთიანებს თეატრის ოთხივე თაობას. გიზო ჟორდანიას დადგმა გაჯერებულია მუსიკალური ფოლკლორითა და ნოდარ დუმბაძის მახვილგონივრული იუმორით.

თეატრის შენობაში მიმდინარე ძირეული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, დასი რეპეტიციებს, მცირე დარბაზის ნაცვლად, დროებით ქალაქის №3 საჯარო სკოლაში გადის

ოზურგეთის ქუჩებისა და უბნების ისტორიები

ბასრა

ბასრა ოზურგეთის პატარა უბანია. იგი ადრე სოფელ ექადიას ეკუთნოდა და მდებარეობს იქ, სადაც აჭისწყალი ერთვის მდინარე ბჟუჟს. მის აღმოსავლეთ ნაპირას პატარა ნაკვეთი უბანია, რომელიც წინათ ნაკაიძეების უბნის სახელით იყო ცნობილი ჯერჯერობით ცნობილი არ არის თუ რა მოტივით დაერქვა ბასრა. ბასრისუბნელი „ბიჭების“ თქმით, რომლებმაც არ ისურვეს ვინაობის გამხელა, ბასრა - ბასრი შუმერული სიტყვაა და ბასრს ნიშნავს. ერაყში არის ქალაქი ბასრა მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის შესართავთან. აქაც, სადაც აჭისწყალი ერთვის მდინარე ბჟუჟს, ქმნის ვიწრო ბასრ ზოლს რომელიც უძველესი დროიდან იყო დასახლებული. ბასრაზე გადიოდა ერთადერთი გზა თურქეთიდან შემომავალი. ძველად აქ უნდა ყოფილიყო ვაჭრების გასაჩერებელი ადგილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ აქ, ყოფილი ყველ-კარაქის ქარხნის ტერიტორიაზე და ბჟუჟის დაბლობზე განლაგებული იყო ჯარის ყაზარმები, აქვე იყო ადგილი, რომელსაც „ ნაკარახტინალს“ ეძახდნენ. ბასრას სამხრეთის მხრიდან დიდი თხრილები ჰქონდა შემოვლებული და მოგვიანებით, როცა აქ დასახლდნენ ბერსენაძეები, ალავიძეები, თავბერიძეები, მათ მოუწიათ ამ თხრილების ამოვსება. უფრო ზევით კომუშოვების, ჩავლეშვილების საკარმიდამო ნაკვეთში მიწის სამუშაოების შესრულების დროს ხშირად ნახულობდნენ დაჟანგულ ბომბებს თუ სხა იარაღებს.

ბასრისუბნელი ავთო ბერიშვილი: პატარა ბიჭი ვიყავი, როცა წარმოშობით მაკვანეთელმა, თბილისში მცხოვრებმა ექიმმა ილარიონ კიკვაძემ, მაშინ ის საკმაოდ ასაკიანი კაცი იყო, მიამბო: „რომ აქ ძველად გადიოდა საქარავნო გზა და იყო ქარავნების გასაჩერებელი ადგილი, ეს უნდა ყოფილიყო პატარა ქალაქი თავისი ციხე-სიმაგრით.“ ამ აზრს ამტკიცებს სპირიდონ ნაკაიძის სახლის მშენებლობისას აღმოჩენილი ნამარხები და საამშენებლო ნაშთები. სავარაუდოდ, აქ უნდა ყოფილიყო ეკლესიაც. დღეისათვის ბასრას უბანი ახლანდელი ყაზბეგის ქუჩით შემოისაზღვრება, სადაც ცხოვრობს 68 ოჯახი.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული
მუზეუმის ფონდების მცველი

სკანვორდი



№ 21-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - გაბრიელ მდინარაძე; საშენი მასალა — ალიბასტრი; ქალის სახელი — ინგა; ამომავალი მზის ქვეყანა — იაპონია; გაზაფხულის ყვავილი — ია; ილია მოფერებით — ილა; ბაზრობა თბილისში — ლილო; დეკორატიული მცენარე — პალმა; კლეი ანუ ... — ალი; სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში — ინტაბუეთი; დარ გურულად — დია; ტეკილას ნედლეული — აგავა; ბებერი ბალანეული — ბაბუაწვერა; პირველი ქალი — ევა; დიდი ბოლოკი — თალგამი; ინდივიდუალური ცეკვა — სოლო; ბოლო ასობგერა — ჰ; წვრილი შრიფტი — ნონპარელი; ბრიტანეთში შემავალი ქვეყანა — უელსი; სუფთა მოგება ბიუდომი — იაპონი; მტაცებელი ფრინველი — ქორი; სულელი გურულად — აბდალი; კუნძული — იამაიკა; გამაგრილებელი სასმელი — გლიასე; მხარე უკრაინაში — დონბასი; ს/ს ინვენტარი — ბარი; ნადირობის ქალღმერთი — დალი; ბგერის წერითი ნიშანი — ასო; ნავთობის საზომი ერთეული — ბარელი; ძველბიჭური შეახილი — ავეიე; თვითმფრინავის სადგომი — ანგარი; კომში — ბია; მდინარის თევზი — წვერა; ნახევრად ჩაძირული ქალაქი — ვენეცია; კენკროვანი მცენარე — კუნელი; ცხენის კუდი — ძუა; ცეცხლის ენა — ალი; კინორეჟისორი ... ღოღობერიძე — ლანა; აბჯრიანი ცხოველი — კუ; საგრილებელი — მარაო; ფენბურთის მეფე — პელე; თბილი ქსოვილი — ფანელი.

სპორტი

10 წლამდე ასაკის მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატზე

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში 23 მაისს დაიწყო ოზურგეთის ჩემპიონატი 10 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის, რომლის ჩატარება ერთდროულად მიეძღვნა 26 მაისის და ბავშვთა დაცვის დღის დღესასწაულებს. ჩემპიონატში 27 ნორჩი მოჭადრაკე ჩაერთო, რომლებიც სხვადასხვა მწვრთნელებთან (ელგუჯა ურუშაძე, ნინო წიტაიშვილი, ეკა ქუტიძე და გივი სიამაშვილი) ეუფლებიან ჭადრაკის საიდუმლოებებს. დებულებით ჩემპიონატი წრიული სისტემით ორ ეტაპად ტარდება. პირველ ეტაპზე მოსწავლეები კენჭისყრით ორ ჯგუფად გაიყო, რაც თითოეული ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე 5-5 საუკეთესო მოჭადრაკის გადასვლას და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლებას ითვალისწინებდა. პირველივე ეტაპზე ორთაბრძოლები საინტერესოდ წარიმართა. დებულებით ხუთეულში გასულებს მეტოქეებთან დააგროვილი ქულები ფინალურ ეტაპზე ერიცხებოდათ, ამიტომ თითოეული პარტიის შედეგს უაღრესად დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კენჭისყრამ ფავორიტები ორივე ჯგუფში პრაქტიკულად თანაბრად გადაანაწილა, რამაც უფრო მეტი ინტერესი შესძინა თითოეული ტურის მიმდინარეობას.

პირველი ჯგუფიდან, სადაც 13 მონაწილე იყო, გიორგი ღლონტმა 12 შესაძლებლობიდან 11 ქულა წაუგებლად დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა მეორეზე ადგილზე გას-ული გუგა კილაძე. ჩემპიონატის ყველაზე პატარა მონაწილემ, ჭადრაკის მოყვარულებისათვის უკვე კარგად ცნობილმა ანდრია კიკაბიძემ 9,5 ქულა დააგროვა და მესამე ადგილი დაიკავა. კარგი თამაში აჩვენა ლუკა მახარაძემ. მან 9 ქულით ადრევე გაინაღდა ადგილი ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ. პირველი ჯგუფიდან მეხუთე საფინალო ადგილი კი გიორგი სირაძემ 8,5 ქულით მიიღო.

მეორე ჯგუფში, სადაც ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად 14 მონაწილე ეცილებოდა ერთმანეთს, საუკეთესო შედეგი დადო თენგო თოიძემ (12,5 ქულა 13 შესაძლებლიდან!). მან წაუგებლად ჩაატარა ეს ეტაპი და მხოლოდ ერთი ყაიმი ითამაშა, ისიც ჩემპიონატის ფავორიტთან, საქართველოს შარშანდელ ჩემპიონთან ანა მეგრელაძესთან. ანამ თენგოზე ერთით მეტი ყაიმი ითამაშა, 12 ქულა დააგროვა და ამჯერად მეორე ადგილს დაჯერდა. მე-3-4 ადგილები გიორგი ბარამიძემ და ლუკა ერქომაიშვილმა 10-10 ქულით გაიყვეს. მეხუთე საფინალო ადგილი დამსახურებულად მიიღო თაკო ასათიანმა, რომელმაც თანატოლ ბიჭებთან 9 ქულა დააგროვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოჭადრაკეებს ერთმანეთთან ნათამაშები პარტიების შედეგები ფინალურ ეტაპზე გადაყვათ. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალური ეტაპი მოჭადრაკეებმა ერთობ განსხვავებული ქულებით დაიწყეს.

გაზეთის დაბეჭვდამდე, 10 მოჭადრაკისაგან შემდგარ ფინალურ ჯგუფში 5 ტურის შედეგებით სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

თენგო თოიძე - 4,5 ქულა, ანა მეგრელაძე - 4, გიორგი ღლონტი - 3,5, გ უგა კილაძე - 3, ლუკა ერქომაიშვილი – 3, გიორგი ბარამიძე - 2,5,ლ უკა მახარაძე -2,ა ნდრია კიკაბიძე - 1,5,გ იორგი სირაძე - 1, თაკო ასათიანი - 0,5.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელმა ზურაბ ანდღულაძემ ჩვენთან საუბარში არ გამორიცხა, რომ დარჩენილ ოთხ ტურში სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალოს, თუმცა ჩემპიონობის რეალური შანსი თენგო თოიძეს და ანა მეგრელაძეს სხვებთან შედარებით გაცილებით მეტი აქვთ.

ჩემპიონატის დახურვა შედგება 6 ივნისს 13 საათზე

მძლეოსნობა

27-28 მაისს ქ. თბილისში ჩატარდა ევროპის სალიცენზიო ღია ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი იღებდა მონაწილეობას.

მინდა წარმატება მივულოცო **სოფო შათირიშვილს,** რომელმაც ბირთვის კვრაში 14მ 60სმ (4კგ) 23 წლამდე ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის საგზური მოიპოვა და 13-16 ივნისს პოლონეთში საქართველოს სახელით იასპარეზებს, აქვე აღსანიშნავია **გოგა ჭიხვარიას** შედეგი, რომელმაც უროს ტყორცნაში I საპრიზო ადგილი და ევროპის გუნდური ჩემპიონატის ლიცენზია მოიპოვა.

ასევე წარმატებით იასპარეზეს: **გიორგი გოგოლაშვილმა**, III საპრიზო ადგილი ბადროს ტყორცნა (2 კგ 100გრ) 41მ 98სმ; **ამირან თავართქილაძემ** 100 მ 11.07, **გიორგი დეკანოიძემ** სამხტომი 12 მ 73 სმ. აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის ნაკრებმა გუნდმა გუნდურ ჩათვლაში წარმატებით იასპარეზა და ისევ ი ლიგაში იასპარეზებს 2018 წელსაც .

რაც შეეხება **ნიკა კარტავცევის** გულშემატკივრებს, მინდა გითხრათ, რომ ნიკა ტრამვის გამო რეაბილიტაციის პერიოდს გადის და ალბათ ერთ სეზონს გამოტოვებთს გუნდი დიდ მადლობას უხდის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს **გოჩა კვანტალიანს** მხარდაჭერისათვის.

„მერცხალმა“ „ეგრისს“ სძლია

ოზურგეთის „მერცხალი“ მე-12 ტურში სენაკში შეხვდა ადგილობრივ „ეგრისს.“

„ეგრისი“ წელს წარუმეტებლად გამოდის და მხოლოდ ერთხელ მოიგეს მატჩი „ოდიში 1919“-თან, 4-ჯერ ფრეს მიაღწიეს და 7 ქულით ბოლოდან მე-3 ადგილზეა, თუმცა „მერცხალს“ უშეღავათო ბრძოლა გაუმართა. შეხვედრის 62-ე წუთზე დაწინაურების შანსიც მიეცათ, როცა სტუმრების კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ ოზურგეთელთა სათადარიგო მეკარე ფოფხაძემ თავგანწირული ნახტომით მოიგერია პენალტი. 78-ე წუთზე კი აბრალამაძემ ზუსტი დარტყმით სენაკის კარის ბადე შეარხია,1: 0 გაიმარჯვა „მერცხალმა“ და 3 ქულა მოიპოვა. რაც შეეხება „ბახმაროს“, ჩოხატაურელებმა ზედიზედ მეორედ ითამაშეს ფრე, ამჯერად საშინაო მატჩში ხულოს „ხიხანთან“ 1:1.

სატურნირო ცხრილს კვლავ „ბახმარო“ ლიდერობს 29 ქულით.

მეორე ადგილზე „ლესიჭინეა“, რომელსაც 28 ქულა აქვს, ხოლო „მაჭახელას“ 26 ქულა.

ოზურგეთის „მერცხალი“ 20 ქულით კვლავ მე-6 ადგილზეა.

11 ივნისს, პირველი წრის ბოლოსწინა მატჩში „მერცხალი“ ბათუმის „დინამო 2“-ს უმასპინძლებს, ხოლო 18-ში ხულოში „ხიხანს“ შეხვდება.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

26-28 მაისს ქ. ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2003-2004 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი. ჩემპიონები გახდნენ: **ზურაბ და ირაკლი ზურაბიანების** ჯგუფიდან 26კგ წონით კატეგორიაში **ალექსანდრე ფასიეშვილი**, 32კგ წ.კ. **ნოდარ გიორგაძე,** მესამე ადგილზე გავიდა 66კგ **საბა ფასიეშვილი; გურამ მაჭარაშვილის** ჯგუფიდან მეორე ადგილი დაიკავა **გიორგი ბერიძემ.**

კახა აბაშიძის და თემური მუჯირის ჯგუფიდან ჩემპიონი გახდა 29კგ წ.კ. **ლუკა ჯავახაძე,** 29კგ **ლუკა ფიფია.** 35კგ **საბა მახარაძე,** 53კგ **ნიკა შიუკაშვილი,** მესამე ადგილი დაიკავეს; 23კგ **გიორგი გორდელაძემ,** 26კგ **აჩი ქათამაძემ,** 29კგ **იური ჟღენტმა,** 42კგ **ნიკა დოლიძემ.**

კრივი

24-27 მაისს, ქ. გორში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის **გიორგი კანდელაკის** სახელობის რესპუბლიკური ტურნირი კრივში ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ნაკრები გუნდის წევრმა **რომა აბესაძემ** 46კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა.(წვრთნელი **იულო საჯაია.**)

სულთათანა



გოჩა, ნუკრი ჭანიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძმის **ედუარდ (ედიკა) ზურაბის ძე ჭანიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს კვირიკეთის საჯარო სკოლის პედაგოგს, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გუგული მახარაძეს მეუღლის **პარმენ (პაატა) კუტალაძის** გარდაცვალების გამო.

კვირიკეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს დაწყებითი კლასების მასწავლებელს გუგული მახარაძეს მეუღლის **პარმენ (პაატა) კუტალაძის** გარდაცვალების გამო.

მურმან ნაცვალაძეს



ჩვენი ოჯახისა და საზოგადოებისათვის ავადმოსაგონარი დარჩა 23 აპრილის მეხთატეხის დღე, რომელმაც წერტილი დაუსვა შენს ლამაზ სიცოცხლეს.

უსაშველო მონატრებაში გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი 40 დღე.

40 დღეა ლიცლიცებენ სანთლები შენს ოჯახში, შენს სამუშაო მაგიდასთან, შენს სურათთან. ძალიან გვიჭირს იმის შეგუება, რომ სხვათა დამრიგებელ, გაწონასწორებულ, ნათელ პიროვნებას ასეთი საშინელი ბედისწერა ერგო წილად.

ვფიქრობ და გვიკვირს როგორ იტევდი ამდენ სიკეთეს, როგორი რუდუნებით ცდილობდი ყოფილიყავი ოჯახის საიმედო თავკაცი, მეუღლე, მამა, ძმა, ბაბუა. შენი დიდი ორგანიზაციის ღირსეული წევრი.

გმადლობთ. რომ ყველაფერი დიდებულად შესძელი.

უსაზღვროდ დიდი სიკეთე, ტკბილი მოსაგონარი დაგვიტოვე. შენ ხომ ყველაფერი ხელგეწიფებოდა. პედაგოგისათვის ჰაერივით აუცილებელ სიმკაცრესაც შენეული, მიმალული იუმორით ზომიერების ჩარჩოში აქცევდი, ანეიტრალებდი. არასოდეს კარგავდი დისტანციას. სწორედ ამიტომაც უყვარდი ყველას.

გმადლობთ, ოჯახისა და საზოგადოებისათვის გაწეული უანგარო შრომისათვის, წესიერებისათვის.

დარწმუნებული ვართ შენი ერთგულება, ოჯახის, პროფესიის, მოყვასის სიყვარული გზას გაუნათებს შენს შვილებს, შვილიშვილებს. ჩვენს გულებში კი დარჩები მარადიულ, გაუნელებელ ტკივილად, რომელსაც მურმან ნაცვალაძე დაერქმევა სახელად.

უფალს ვევედრებით შენი სული დაამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ოჯახი.

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

„ჯანსაღი თაობა ჩვენი მომავალია“ – კვირეულის დღიური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სკოლამდელ დაწესებულებებში გრძელდება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეული „ჯანსაღი თაობა ჩვენი მომავალია“.

ჭანიეთელი აღსაზრდელები კარგ სპორტულ და შემოქმედებით ფორმაში არიან

სოფელ ჭანიეთის საბავშვო ბაღში პროექტის ფარგლებში ღონისძიება სწორედ 25 მაისს ჩატარდა. საბავშვო ბაღის ახალ, მზით სავსე შენობაში ნახევარ საათზე მეტხანს არ შეწყვეტილა ყიჟინა და შეძახილი. აქ „მხიარულ სტარტებში“ ორი გუნდი – „ჩირაღდანი და „იალქანი“ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. სტარტიდან ფინიშამდე საინტერესო შეჯიბრების მოწმენი გავხდით, რომელშიც ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა და ხან – მეორე. ორივემ ბოლომდე დაიცვა მშობლიური ბაღის ღირსება, რითაც თექსმეტივე მონაწილე ბედნიერი იყო.

ჭანიეთელმა ბავშვებმა თავიანთი მოქნილობით,სიმარჯვით, გარდასახვის უნარით აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება. შეიძლება ითქვას, რომ ისინი კარგ სპორტულ და შემოქმედებით ფორმაში არიან.

„მხიარულ სტარტებში“ ჭანიეთელი აღსაზრდელები მონაწილეობდნენ შემდეგი შემადგენლობით:

გუნდი „ჩირაღდანი“ – გიორგი ბერაძე, ბარბარე ლომჯარია, ბარბარე ცენტერაძე, საბა მჟავანაძე, ნიკოლოზ მათოშვილი, ლაშა ქოქოლაძე, ავთო სვანაძე, მათე ქავთარაძე; **გუნდი „იალქანი“** – თემურ მახარაძე, ნინი ხინთიბიძე, ბარბარე თავაძე, ქეთი ქავთარაძე, ლუკა ქავთარაძე, მარიამ სვანაძე, ნინი ხავთასი, დათუნა კაპანაძე;

გუნდებს უძღვებოდნენ ნათია თოდრაძე და თამუნა ბაქრაძე.

ბაღის მენეჯერია ნანული ქავთარაძე, მასწავლებელი – ქეთევან ლომჯარია, II ცვლა – ეკა მარგალიტაძე.

აქა ამბავი ნარუჯის ბაღის ონავარი და ყოჩაღი აღსაზრდელებისა

დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღმა „მხიარულ სტარტებში“ სასკოლო მზაობის ჯგუფის გუნდები „ონავრები“ და „ყოჩაღები“ ჩართო. თითოეული გუნდის ღირსებას 12 აღსაზრდელი იცავდა. როგორც ყოველთვის, ნარუჯელები მეტად მრავალფეროვანი სპორტული და მხატვრული ნომრებით წარსდგნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე. გუნდები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, ამავე დროს მეგობრული დამოკიდებულებითაც გამოირჩეოდნენ. იყო აქ რამდენიმე განსხვავებული ნომერი, რაც სხვა ბაღებში არ გვინახავს. საბოლოო ჯამში „ონავრებმა“ და „ყოჩაღებმა“ მართლაც კარგი, კომპოზიციურად სრულყოფილი ზეიმი წარმოგვიდგინეს.

აქვე გთავაზობთ გუნდების შემადგენლობასაც: **„ონავრები“** – ლიზი ჭალალიძე (კაპიტანი), ნიკუშა მახარაძე, ელენე ტუტოიან, მეგი შარაშიძე, ანა ჭალალიძე, ქრისტინა სურმანიძე, ანა ცენტერაძე, მარი ბერიძე, ლუკა ლულუკიან, სალომე სურმანიძე, ალეკო ზოიძე, აჩიკო ლომიძე; **„ყოჩაღები“** – გიორგი ივანიან (კაპიტანი), ნინი დარჩიძე, ნინი მახარაძე, მეგი შანთაძე, დიანა ზანდარაძე, ვახო ჭელიძე, მაია დავითაძე, გიორგი საპონჯიან, ლუკა ცეცხლაძე, მელი შავაძე, მარი სამადაშვილი, ნანა შავაძე.

ბაღის მენეჯერია ც. მარდალეიშვილი, აღმზრდელები – თ. თავდგირიძე, ნ. მიქელაძე, აღმზრდელის თანაშემწე – ლ. კოჩალიძე.

„მერცხლებმა“ გაზაფხული მოიყვანეს, „ყოჩაღებმა“ იყოჩაღეს

სოფელ ოზურგეთის საბავშვო ბაღში „მერცხლებმა“ გაზაფხული მოიყვანეს, ხოლო „ყოჩაღებმა“ იყოჩაღეს. ჯგუფები ერთმანეთს „მხიარული სტარტების“ ეგიდით გაეჯიბრნენ. აღსაზრდელებმა საოცარი ვოკალური და ქორეოგრაფიული მონაცემები გამოავლინეს, რამდენიმე მათგანი მსახიობური გარდასახვის კარგი უნარითაც გამოირჩეოდა. აქ არ იყვნენ გამოკვეთილი ლიდერები, ორივე ჯგუფში ყველა ფავორიტია, ყველა ჯანსაღი უნარჩვევების მატარებელია. თითოეული ბავშვი გამოირჩეოდა შესრულების მანერითა და პასუხისმგებლობით. აღსანიშნავია პროგრამაში აღმზრდელთა ჩართულობაც.

„მერცხლები: ანასტასია კვერღელიძე, ელენე კარპოვა, სოფია ბაკურაძე, ნიკოლოზ მეგრელაძე, რეზი ტულუში, ქეთა ღლონტი, საბა შარაშენიძე, თეკლა ჭალალიძე, გიგია ჭალალიძე, მერაბიკო ჯაჯანიძე, ანამარია ჯანელიძე, ელენე ჯინჭარაძე, გია ტავდუმაძე, ბარბარე გოგოტიშვილი; აღმზრდელი – ეკატერინე ბალათურია, დამხმარე აღმზრდელი – ნაზი გაბრიჭიძე.

„ყოჩაღები“: ნიკა ორბელაძე, ტასო კვირჩილაძე, ლევან კალანდაძე, მარი სიმონიშვილი, დათო ბრეგვაძე, საბა ბერიძე, მარი გოგრიჭიანი, ბარბარე პატარიძე, ნიკა სვანიძე, ერეკლე როყვა, ნატალია შარაშენიძე, თენგო ლომაძე, გაბო ბილიხოძე, ლუკა კილაძე; პედაგოგები – მ. კვერღელიძე ა. ქარჩილაძე.

ბაღის მენეჯერია ლ. მალაზონია.

„მინიონები“ და „მიკიმაუსები“ ტოლსწორი გუნდები აღმოჩნდნენ

როგორც ცხემლისხიდის საბავშვო ბაღის შენობა, ისე მისი ადგილმდებარეობა (ბაღდადი), რომ იტყვიან, ავ თვალს არ ეჩვენება. სახიერებით აქაური აღსაზრდელებიც გამოირჩევიან და აღმზრდელებიც. „მხიარულ სტარტებში“ ცხემლისხიდმა ორი ტოლსწორი გუნდი – „მინიონები“ და „მიკიმაუსები“ გამოიყვანა. აღსაზრდელებმა გუნდურობის შესანიშნავი მაგალითები აჩვენეს, ისინი ინდივიდუალობითაც გამოირჩეოდნენ. აქ რამდენიმე რთული ნომერიც ვიხილეთ, რასაც კარგად გაართვა თავი ყველა მონაწილემ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ცხემლისხიდელთა სპორტული აზარტი და ტემპერამენტი. ღონისძიებას ელფერი შემატა შეჯიბრების რამდენიმე ნომინაციაში აღმზრდელთა ჩართვამ.

მხიარულ სტარტებში გუნდების შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: **„მინიონები“** – ირაკლი აბულაძე, ნია ფუხოევა, ელენე ბორჩხაძე, გურამ გაგნიძე, ირაკლი სალუქვაძე, გვანცა გიორგაძე, პაატა გაგნიძე, ტასო ძნელაძე, ლაშა კლდიაშვილი, თინა გაგნიძე; **„მიკიმაუსები“** – ლუკა ჩხაიძე, ტასო დუმბაძე, გაიოზ ჭელიძე, თამარ დანელია, ლუკა ბორჩხაძე, ნუცა მაისურაძე, ნიკოლოზ სიმონიშვილი, აკაკი სალუქვაძე, საბა ბორჩხაძე, ლევან სალუქვაძე, ლუკა ჯოხაძე, ლიზი გიორგაძე.

„მხიარული სტარტები“ მხიარულ ვაკიჯვარში

ვაკიჯვარი კოლორიტული, განსაკუთრებული რელიეფის სოფელია გამორჩეული კლიმატითა და წყლით, სტუმართმოყვარე მოსახლეობით. „მხიარული სტარტებშიც“ განსაკუთრებულად ჩაერთო ამ სოფლის საბავშვო ბაღი. მიუხედავად იმისა, რომ ბაღის შენობა ვერ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, ვიწრო ფართის პირობებში აქაურმა აღსაზრდელებმა ისეთი ნომრები წარმოადგინეს, ბაღის ოთახზე გაცილებით დიდ სცენასაც რომ მოუხდებოდა. ვაკიჯვრელებმა ცხადყვეს, რომ ძალით, ნებისყოფით, გამძლეობით, სისწრაფით, სიმარჯვით, მოქნილობით, მუსიკალურობითა თუ ქორეოგრაფიულობით ძნელად თუ ვინმე დაუდგება წინ. ვაკიჯვარს ჰყავდა და ეყოლება ჯანსაღი თაობა. მთავარი საზრუნავი ისაა, რომ კონტიგენტია მცირე და ეს ტენდენცია მომავალ წელსაც იჩენს თავს.

მხიარულ სტარტებში ვაკიჯვარი ასახელეს: დემეტრე სოსელიამ, ნინუცა მდინარაძემ, დავით ტავართქილაძემ, მარიამ მდინარაძემ, გიორგი მდინარაძემ ლალი მდინარაძემ, ანასტასია თურქაძემ მერაბ ხომერიკმა, ლალი სიამაშვილმა, ლიზი მატკავამ, ვახო მდინარაძე, ბესო მელიქაძემ, ამიკო სიამაშვილმა, ამირან თურქაძემ სალომე შაშიკაძემ, მარიამ ტარიელაძემ.

ბაღის მენეჯერია სოფო რუსიეშვილი, აღმზრდელები – სოფო გოგრიჭიანი, თამარ ინწკირველი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +17+26	მზე, ღრუბელი +15+26	მზე, ღრუბელი +13+22	მზე, ღრუბელი +12+22	მზე +14+21	მზე ღრუბელი +13+20	მზე ღრუბელი +13+20
5 ივნისი ორშაბათი	6 ივნისი სამშაბათი	7 ივნისი ოთხშაბათი	8 ივნისი ხუთშაბათი	9 ივნისი პარასკევი	10 ივნისი შაბათი	11 ივნისი კვირა